ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3642355

ნომერი: AR1544635

თარიღი : 27.09.2017

გაცემის თარიღი : 27.10.2017

გაცნობის თარიღი : 27.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროპორტი , (ნაკვეთი 01/082) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კაკაშვილი პ/ნ 01034003560
- თბილისი ო.ჩეჩელაშვილის ქ. N 157

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, აეროპორტი,

(ნაკვეთი 01/082), შპს „ლასაზე“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გარე განათების ლამპიონების (8 ცალი) მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (საკადასტრო კოდი N 01.19.30.001.082, რეგისტრაცია N 882017866660 თარ.02/10/2017 ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი; მინდობილობა; შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება 16.10.2017 წლის #1032 წერილი; შპს „საქაერონავიგაცია“ 13.10.2017 წლის #8/1456 წერილი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-სექტორი-სამგორი, აეროპორტი, (ნაკვეთი 01/082), შპს „ლასაზე“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გარე განათების ლამპიონების (8 ცალი) მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ ლამპიონების მოწყობა უნდა განხორციელდეს თქვენს საკუთრებაში არსებულ საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.